

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
2019 წლის ბიუჯეტის შესრულების  
ანგარიშის შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 186,8 ათ.ლარით.

2019 წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება.

2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **47 989,9** ათ.ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. ანგარიში მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ბიუჯეტის ბალანსი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი							
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	32 245,6	40 128,7	15 325,0	24 803,7	41 599,6	15 291,7	26 307,9
გადასახადები	9 313,7	7 000,0	0,0	7 000,0	8 884,2	0,0	8 884,2
გრანტები	19 527,9	28 907,4	15 325,0	13 582,4	29 595,7	15 291,7	14 303,9
სხვა შემოსავლები	3 404,0	4 221,3	0,0	4 221,3	3 119,8	0,0	3 119,8
ხარჯები	17 413,3	21 382,4	1 014,3	20 368,1	20 757,9	882,6	19 875,3
შრომის ანაზღაურება	3 421,8	3 540,6	0,0	3 540,6	3 520,2	0,0	3 520,2
საქონელი და მომსახურება	2 060,3	3 002,1	513,2	2 488,9	2 614,0	381,5	2 232,5

ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	30,1	0,0	30,1
სუბსიდიები	7 827,7	11 865,0	0,0	11 865,0	11 813,6	0,0	11 813,6
გრანტები	1 782,6	65,0	0,0	65,0	65,0	0,0	65,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 009,5	1 050,4	0,0	1 050,4	887,1	0,0	887,1
სხვა ხარჯები	1 311,4	1 859,3	501,1	1 358,2	1 828,0	501,1	1 326,9
საოპერაციო სალდო	14 832,3	18 746,3	14 310,7	4 435,6	20 841,7	14 409,1	6 432,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11 844,8	26 337,5	16 838,5	9 499,0	22 764,4	14 884,4	7 880,1
ზრდა	11 952,4	26 587,5	16 838,5	9 749,0	23 008,2	14 884,4	8 123,8
კლება	107,6	250,0	0,0	250,0	243,7	0,0	243,7
მთლიანი სალდო	2 987,5	-7 591,2	-2 527,8	-5 063,4	-1 922,7	-475,3	-1 447,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-26,7	-7 611,2	-2 527,8	-5 083,4	-1 929,8	-475,3	-1 454,5
ზრდა	0	0	0	0			
ვალუტა და დეპოზიტები		0					
კლება	26,7	7 611,2	2 527,8	5 083,4	1 929,8	475,3	1 454,5
ვალუტა და დეპოზიტები	26,7	7 611,2	2 527,8	5 083,4	1 929,8	475,3	1 454,5
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0

### ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 40 378,7 ათ. ლარი, ფაქტიურად 41 843,4 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 104 %-ია.

**I. გადასახადების** სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 8 884,2 ათ. ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 7000,0 ათ. ლარის 127 %.

**ქონების გადასახადი** - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 8 884,2 ათ. ლარის შემოსავალი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 7000,0 ათ. ლარის 127 % .

### II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 29 595,7 ათ. ლარი, მათ შორის:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი - 14 035,3 ათ. ლარი;

- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 253,0 ათ.ლარი;
- გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 10781,4 ათ. ლარი;
- დ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 781,5 ათ. ლარი;
- ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები - 2654,8 ათ. ლარი;
- ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1074,0 ათ. ლარი;
- ზ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 15,6 ათ. ლარი

### III. სხვა შემოსავლები

2019 წლის დამტკიცებული წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 4221,3 ათ.ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 3 119,8 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 74 %-ია, მათ შორის:

**რენტის** სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 699,9 ათ. ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 700,0 ათ.ლარის 100 %-ია.

**ადმინისტრაციული მოსაკრებელიდან და გადასახადებიდან** მიღებულია 769,3 ათ. ლარი, რომელმაც გეგმის 1 300 ათ. ლარის 59 % შეადგინა, აქედან:

– სანებართვო მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 410,1 ათ.ლარი, რაც გეგმის 100,0 ათ.ლარის 410 %-ია;

– სათამაშო ბიზნესი მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 120,00 ათ.ლარი, რაც გეგმის 1000,0 ათ.ლარის 12 %-ია;

– დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 239,2 ათ.ლარი, რაც გეგმის 200,0 ათ.ლარის 120 %-ია;

**არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 27,8 ათ ლარი, რაც გეგმის 20,0 ათ. ლარი 139 % შეადგენს.

**შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან** მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 1389 ათ. ლარი შეადგინა რაც გეგმის 1851,3ათ. ლარი 75 % შეადგენს.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 233,8 ათ.ლარი, რაც გეგმის 350,0 ათ. ლარის 67 %-ია;

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 243,7 ათ. ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (250,0 ათ. ლარი) 97 %-ია, მათ შორის: 58,6 ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან), ხოლო 185,1 ათ. ლარი არაწარმოებული აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 47 989,9 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 43 773,1 ათ. ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 91 %-ია.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა** განისაზღვრა 21 402,4 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20 937,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 26 587,5 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 22 835,9 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86,54 %-ია.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:**

**„შრომის ანაზღაურების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 3 540,6 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 3 520,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,42%-ს შეადგენს.

**„საქონელი და მომსახურების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 3 002,1 ათ. ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2614,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 87,07 %-ს შეადგენს.

**„სუბსიდიების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 11 865,0 ათ. ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 11 813,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 99,6 %-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- მუნიციპალური ტრანსპორტი;
- კომუნალური მომსახურების დაფინანსება;
- წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- სპორტული ობიექტების დაფინანსება;
- კულტურის ობიექტების დაფინანსება;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
- ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;
- მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება;
- ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა;

**„სოციალური უზრუნველყოფის“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1050,4 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 887,1 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84,5 %-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლი 18-წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამა;
- მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა;
- „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა;
- თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა

**დახმარება;**

- სარიტუალო დახმარება;
- სოციალური ღონისძიებები;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება;
- სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა;
- მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება;
- სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება;







„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 1 859,3 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1828,0 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 98,3 %-ს.


სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, კერძოდ: საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სამშენებლო მასალების შესყიდვა მოსახლეობისთვის გადაცემის მიზნით, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირის უზრუნველყოფა.
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება.
- ბინათმშენებლობა

**2019 წლის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით**

	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება	12,12%
	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,32%
	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	59,75%
	განათლება	14,04%
	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	10,02%
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,75%



1. 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (გეგმა - 5380,0 ათ. ლარი, შესრულება - 5303,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 98,57 %-ია);
2. 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (გეგმა - 143,0 ათ. ლარი, შესრულება - 139,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 97,76 %-ია);
3. 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (გეგმა - 29 794,8 ათ. ლარი, შესრულება - 26 155,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 87,78 %-ია);
4. 04 00 - განათლება (გეგმა - 6236,3 ათ. ლარი, შესრულება - 6147,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 98,57 %-ია);
5. 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (გეგმა - 4543,4 ათ. ლარი, შესრულება - 4385,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,52 %-ია);
6. 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გეგმა - 1892,4 ათ. ლარი, შესრულება - 1641,1 ათ. ლარი, რაც გეგმის 86,72%-ია).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 705,0	5 380,0	0,0	5 380,0	5 303,6	0,0	5 303,6
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 574,8	5 250,0	0,0	5 250,0	5 188,3	0,0	5 188,3
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 228,4	4 900,0	0,0	4 900,0	4 831,2	0,0	4 831,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	346,4	350,0	0,0	350,0	357,1	0,0	357,1
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	1,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	1,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	128,7	130,0	0,0	130,0	115,3	0,0	115,3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	148,0	143,0	0,0	143,0	139,8	0,0	139,8



7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	148,0	143,0	0,0	143,0	139,8	0,0	139,8
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 582,3	6 174,5	4 741,6	1 432,9	5 210,4	3 926,2	1 284,3
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	558,5	655,9	0,0	655,9	413,1	0,0	413,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	558,5	655,9	0,0	655,9	413,1	0,0	413,1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2 023,4	5 518,6	4 741,6	777,0	4 797,3	3 926,2	871,2
705	გარემოს დაცვა	4,2	2 459,1	1 079,1	1 380,0	1 889,9	905,9	984,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	4,2	2 459,1	1 079,1	1 380,0	1 889,9	905,9	984,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	13 358,7	21 161,2	10 245,8	10 915,4	19 055,4	9 140,7	9 914,7
7061	ბინათმშენებლობა	2 114,2	2 646,2	0,0	2 646,2	2 646,1	0,0	2 646,1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	9 855,6	15 066,2	10 044,5	5 021,7	13 253,0	9 030,6	4 222,4
7063	წყალმომარაგება	547,2	550,0	0,0	550,0	610,5	0,0	610,5

7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	841,7	2 898,8	201,3	2 697,5	2 545,9	110,1	2 435,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	98,0	171,5	0,0	171,5	143,5	0,0	143,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	98,0	171,5	0,0	171,5	143,5	0,0	143,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 474,0	4 543,4	0,0	4 543,4	4 385,7	0,0	4 385,7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 260,9	1 788,9	0,0	1 788,9	1 771,5	0,0	1 771,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 035,8	2 497,6	0,0	2 497,6	2 425,4	0,0	2 425,4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	177,3	256,9	0,0	256,9	188,8	0,0	188,8
709	განათლება	3 688,6	6 236,3	1 786,3	4 450,0	6 147,2	1 794,2	4 352,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	3 579,5	4 250,0	0,0	4 250,0	4 251,7	0,0	4 251,7
7092	ზოგადი განათლება	109,1	1 986,3	1 786,3	200,0	1 895,5	1 794,2	101,3
70923	საშუალო ზოგადი განათლება	109,1	1 986,3	1 786,3	200,0	1 895,5	1 794,2	101,3
710	სოციალური დაცვა	1 312,8	1 720,9	0,0	1 720,9	1 497,6	0,0	1 497,6
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	125,3	213,9	0,0	213,9	146,0	0,0	146,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	763,4	979,0	0,0	979,0	895,7	0,0	895,7

7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	424,1	528,0	0,0	528,0	455,9	0,0	455,9
	სულ	29 371,6	47 989,9	17 852,8	30 137,1	43 773,1	15 767,0	28 006,1